თბილისის “დინამოს” გამარჯვება

1 ოქტომბერს მოსკოვში “დინამოს” ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა “სსრ კავშირის თასის” გათამაშების მორიგი შეხვედრა მოსკოვის “სპარტაკისა” და თბილისის “დინამოს” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

თამაშის პირველი წუთები მიმდინარეობდა ორივე გუნდის ცვალებადი უპირატესობით. ტაიმის შუა წუთებიდან ინიციატივა ხელთ იგდეს თბილისელებმა და 26–ე წუთზე პირველი ბურთი მოათავსეს მოსკოველთა კარში. სამი წუთის შემდეგ მ. ბერძენიშვილისაგან მოწოდებული ბურთი კარგად გამოიყენა ა. ხარბედიამ და მეორე გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს. მოსკოველებმა მხოლოდ ტაიმის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე შესძლეს ერთი საპასუხო ბურთის გატანა მოწინააღმდეგის კარში. თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა ანგარიშით 2:1 თბილისელთა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში, მიუხედავად “სპარტაკის” დიდი უპირატესობისა, ანგარიში აღარ შეცვლილა. თითქმის მთელი 45 წუთის განმავლობაში მოსკოველები არ მოსცილებიან დინამოელთა საჯარიმო მოედანს, მაგრამ სალდაძის, კიკნაძისა და განსაკუთრებით მეკარე შუდრას ენერგიულმა და მონდომებულმა თამაშმა მათ საშუალება არ მისცა მიეღწიათ გამარჯვებისათვის.

“კომუნისტი”, 5 ოქტომბერი 1945 წ.